ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2293377

ნომერი: AR1354181

თარიღი : 03.11.2015

გაცემის თარიღი : 19.11.2015

გაცნობის თარიღი : 20.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა კალანდაძე პ/ნ 01005007496
- თბილისი ლ.პასტერის ქ. N 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 22.03.2011 წ. #339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

მოქ. შალვა კალანდაძემ 03.11.2015 წ. #AR1354181 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 22.03.2011 წ. #339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 22.03.2011 წ. ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. #29-ში არსებულ საკადასტრო ერთეულზე კომერციული ობიექტის ასაშენებლად გაიცა №339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა საკადასტრო ერთეულზე: №01.17.11.005.001 ფართით 3675კვ.მ. ამავე სამსახურის 07.03.2013 წ. #577601 ბრძანებით შევიდა ცვლილება აღნიშნულ პირობებში.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.17.11.005.001 ფართობი 3675 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882015265704, რეგისტრაციის თარიღი 15.05.15წ.), რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, ფართობისა და საკადასტრო კოდის უცვლელად.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 22.03.2011 წ. #339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილებასთან დაკავშირებით.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.03.2011 წ. #339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.17.11.005.001 ფართობი 3675 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882015265704, რეგისტრაციის თარიღი 15.05.15წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N 882015560740, რეგისტრაციის თარიღი 06/10/2015);
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.03.2011 წ. #339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ ფუნქციურ ზონად დაფიქსირდეს:
საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1) და სარეკრეაციო ზონა 2(რზ–2);
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.03.2011 წ. #339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს შენიშვნა:
- მიწის ნაკვეთზე განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების ხაზი 1.8 მ(იხ.დანართი);
- შენობა–ნაგებობა განთავსდეს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა–1–ის (სსზ–1)–ის არეალში;
4. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.03.2011 წ. #339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი დანართი: სქემა ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის და განაშენიანების რეგულირების ხაზის დატანით (იხ. დანართი);
5. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.03.2011 წ. #339 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 07.03.2013 წ. #577601 ბრძანებასთან ერთად;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.